



განხილულია და მოდიფიცირებულია ეკონომიკის, ბიზნესის და მართვის  
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე  
(ოქმი №09 15.04.2014)  
დამტკიცებულია  
თჰუ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 3 მაისის  
№3/2014 გადაწყვეტილებით  
თჰუ რექტორის 2014 წლის 6 მაისის №38/07 ბრძანებით

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი  
ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი  
საბაკალავრო პროგრამა

პროგრამის დასახელება – ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა

მიმართულება: 02 ბიზნესის ადმინისტრირება

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი – აკადემიური

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი / Bachelor of

Business Administration

პროგრამის მოცულობა კრედიტებით ხანგრძლივობა – 240 კრედიტი, საძიებელი აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. ერთი კრედიტი – 25 საათია, ერთი სემესტრის ხანგრძლივობა – 19 კვირაა, 1 სემესტრის მანძილზე 30 კრედიტი; პროგრამის საერთო ხანგრძლივობა – 4 წელი, 8 სემესტრი.

სწავლების ენა – ქართული

**საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**

ა) თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის, ეკონომიკის და მართვის ფაკულტეტის ბიზნესის ორგანიზაციის და მართვის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, რომელსაც გააჩნია სახელმწიფოს მიერ დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტი (ატესტატი) ან მასთან გათანაბრებული და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე მოპოვებული უფლებით;

ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეები მიიღებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის, ეკონომიკის და მართვის ფაკულტეტის ბიზნესის ორგანიზაციის და მართვის საბაკალავრო პროგრამაზე ჩასაბარებლად სავალდებულოა მეოთხე მაპროფილებელი საგნის ჩაბარება მათემატიკაში. ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში პირველივე სემესტრიდან სტუდენტებს ზოგად საუნივერსიტეტო საგნებთან ერთად სთავაზობენ ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების საბაზო საგნებს;

დ) თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის, ეკონომიკის და მართვის ფაკულტეტზე მობილობის წესით გადმოსული სტუდენტებისათვის ბიზნესის ორგანიზაციის და მართვის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანებისა და უნივერსიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად.

**პროგრამის ხელმძღვანელი**-სრული პროფესორი მადონა გელაშვილი (იხ. CV)

## 1. სფეროს აღწერა

ბიზნესის ორგანიზაცია და მართვის საბაკალავრო პროგრამით კურსდამთავრებულთა მომზადების აქტუალობა განპირობებულია საქართველოს ინტეგრაციის აუცილებლობით მსოფლიო ეკონომიკაში, საბაზრო ეკონომიკის ადეკვატური ინსტიტუტების და ურთიერთობების ჩამოყალიბების შეუქცევადი ხასიათით ჩვენს ქვეყანაში, რამაც მეწარმეობისა და ბიზნესის სფეროებში ათასობით ადამიანის დასაქმება გამოიწვია. შესაბამისად, გაჩნდა და ყოველდღიურად იზრდება ბიზნესის სფეროსათვის კვალიფიციური კადრების მომზადების მოთხოვნა. საქართველოში, საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების კვალდაკვალ, ორგანიზაციათა ეფექტიანობის ამაღლების მიზნით ძალიან მნიშვნელოვანია ბიზნესისათვის პროფესიონალი კადრების მომზადება. ორგანიზაციაში იგულისხმება, როგორც საჯარო და კერძო, ასევე სხვადასხვა ზომისა და სტრუქტურის მქონე წარმონაქმნი. სხვადასხვა ბიზნეს-ორგანიზაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოების ცხოვრებასა და ეკონომიკურ განვითარებაში: უზრუნველყოფს საზოგადოებას საქონლითა და მომსახურებით; ქმნის სამუშაო ადგილებს; იხდის გადასახადებს, რომელიც ხმარდება მთელ რიგ სოციალურ პროექტებს; ახდენს საკუთარი მოგების რეინვესტირებას ეკონომიკაში რითაც ამაღლებს საზოგადოებრივი ცხოვრების დონესა და ხარისხს. ბიზნეს-განათლების პროგრამების ამოცანას წარმოადგენს იმ ადამიანების პროფესიონალური განათლება და მომზადება, რომლებიც საბაზრო ეკონომიკის პირობებში აწარმოებენ ბიზნესს, ხელს უწყობენ და მართავენ ორგანიზაციებს და მიზნად ისახავენ ეფექტიანობის ამაღლებას და/ან მოგების მიღებას. ბიზნეს-განათლების შინაარსს უპირველეს ყოვლისა განსაზღვრავს ის, რომ მას ჰყავს ორი მთავარი მომხმარებელი: ორგანიზაცია და ინდივიდი. ბიზნეს-განათლებას უპირველეს ყოვლისა მიეკუთვნება ბიზნესის ადმინისტრირება: საერთო მიზნის მისაღწევად ადამიანებისა და რესურსების ეფექტური ორგანიზების უნივერსალური პრინციპი. გარდა ამისა, ბიზნეს - განათლებას მიეკუთვნება ცალკეული ფუნქციონალური სფეროს კონცენტრირებული შესწავლა: ზოგადი მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანსები, საბანკო საქმე, საბუღალტრო აღრიცხვა, ადამიანური რესურსების მართვა და სხვა. ბიზნესის ორგანიზაცია და მართვის საგანმანათლებლო პროგრამამ ხელი უნდა შეუწყოს, როგორც ბიზნესის სფეროსათვის აუცილებელი კომპეტენციების, ასევე ზოგადი კომპეტენციების განვითარებას. პროგრამის თავისუბრება მდგომარეობს შემდეგში:

- *სწავლებისადმი ინდივიდუალური მიდგომა;*
- *სწავლების პრაქტიკული მიმართულება რეალური საორგანიზაციო პრობლემების გადაწყვეტის კუთხით;*
- *ლიდერის თვისებების და ჯგუფური მუშაობის უნარების გამომუშავება;*
- *უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს თანახმად, პროგრამა შედგენილია ერთ-ერთი მოდელის მიხედვით-ძირითადი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტები;*
- *პროგრამა აგებულია მოდულარულ სისტემაზე.*

## 2. პროგრამის მიზანი, აქტუალობა და მისიათან შესაბამისობა

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მისიის, ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის მისიისა და სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმიდან გამომდინარე ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის საბაკალავრო პროგრამის მიზანია ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს ბიზნეს-პროცესებისა და ორგანიზაციების საქმიანობის ეფექტიან მართვას, რაშიც დაეხმარება მმართველობითი საქმიანობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების საფუძვლიანი ცოდნა და პროფესიული კარიერისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები. ასევე უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული პროგრამა უზრუნველყოფს საქართველოს შიდაეროვნულ შრომის ბაზარს დამსაქმებელთა მოთხოვნების ადეკვატური ხარისხის, სათანადო კომპეტენციისა და კვალიფიკაციის მქონე კონკურენტუნარიან სპეციალისტებით დაკომპლექტებას. პროგრამა იძლევა ბიზნესის სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობისა და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიან სპეციალისტად ჩამოყალიბებისათვის საჭირო თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღების შესაძლებლობას.

*ვინაიდან პროგრამა შედგება სხვადასხვა მოდულებისაგან, სავალდებულოა თითოეული მოდულის მიზნის განსაზღვრა:*

*მენეჯმენტის მოდულის მიზანია* ბიზნესის სხვადასხვა რგოლისათვის კვალიფიციური მმართველობითი საკადრო პოტენციალის შექმნა, ახალი თაობის მმართველობითი კადრების მომზადება, რომელთაც შესწევთ უნარი ეფექტურად გადაწყვიტონ ბიზნეს-სტრუქტურების ფუნქციონირება-განვითარებასთან დაკავშირებული ფინანსური, მატერიალური თუ ადამიანური რესურსების მართვის საკითხები, ფირმის მარკეტინგული სტრატეგიისა და ტაქტიკის მომზადება, მარკეტინგული საქმიანობის ეფექტიანობის კონტროლი. მოდული „მენეჯმენტის“ შექმნის და განვითარების კონცეპტუალურ საფუძველს წარმოადგენს თანამედროვე ბიზნესის გლობალიზაციის პროცესების ადეკვატური ასახვის აუცილებლობა.

*ფინანსების მოდულის მიზანია* ბიზნესის ორგანიზაცია და მართვის პროგრამის ფარგლებში ბაკალავრს მისცეს თეორიული ცოდნა და გამოუმუშაოს პროფესიონალური უნარ-ჩვევები საფინანსო, საბანკო, საინვესტიციო და დივიდენდურ პოლიტიკასთან დაკავშირებით. ამასთან, პროგრამის მიზანია ბაკალავრს განუვითაროს ფინანსური რესურსების მართვის, ფინანსური სისტემის რეგულირებისა და განვითარების პროგნოზირების უნარი, ასევე კორპორაციული ფინანსებისა და საბანკო საქმის აქტუალური საკითხების შემცნება და მათი პრაქტიკაში გამოყენების უზრუნველყოფა. მოდულის უმთავრესი მიზანია ბაკალავრმა შეძლოს ფინანსური სტრატეგიების ჩამოყალიბება-ფორმირება და მათი პრაქტიკაში განხორციელება.

ქვეყნის მასშტაბით ტურიზმი წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკის სისტემის ქვესისტემას, რომლის მიზანია შეისწავლოს ის ეკონომიკური ურთიერთობები, რომლებიც წარმოიშობიან და ვითარდებიან ტურიზმის სფეროში ტურისტული პროდუქტის და მომსახურების წარმოების, განაწილების და მოხმარების პროცესში მომხმარებელთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის, როგორც საშინაო, ისე საგარეო ბაზარზე. აქედან გამომდინარე, *ტურიზმის მოდულის მიზანია* ტურიზმის სფეროში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების

მომზადება, რომლებიც ტურიზმის სტრუქტურებში მუშაობისას შეძლებენ ტურიზმის სფეროში არსებული პრობლემების გამოკვეთას და ოპტიმალურ გადაწყვეტას. მოცემული მოდულის მიზანს ასევე წარმოადგენს იმ ადამიანთა ქცევების შესწავლა, რომლებიც აწარმოებენ, ანაწილებენ, ცვლიან ან მოიხმარენ ტურისტულ პროდუქტს მეურნეობის მოცემული სფეროს ყველა დონეზე, ტურიზმის სფეროში ძირითადი ეკონომიკური კანონებისა და მათი პრაქტიკაში გამოყენების მექანიზმებს.

### 3. სწავლის შედეგები

საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების წარმატებით ათვისებისა და შესაბამისი კრედიტების მოპოვების შემდეგ, სტუდენტს ენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, რაც ადასტურებს რომ კურსდამთავრებულს გააჩნია სათანადო თეორიული მომზადება და პრაქტიკული მზაობა ბიზნესის ადმინისტრირების კუთხით.

საქართველოს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა თანახმად ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები მდგომარეობს შემდეგში:

**ცოდნა და გაცნობიერება** - საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს გააჩნია ფართო/ზოგადი ცოდნა ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში. კერძოდ იგი: ფლობს მართვის მეცნიერების თანამედროვე პრინციპებს, კონცეფციებსა და მეთოდებს, პროფესიულ საქმიანობისათვის აუცილებელ ცოდნას; აცნობიერებს ბიზნესის ადმინისტრირების საერთო სტრუქტურას და ქვედარგებს შორის ურთიერთკავშირს, როგორცაა მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანსები, ტურიზმი. იცნობს ბიზნეს-ტერმინოლოგიას, მეთოდებს, პრინციპებს, თეორიებს და კონცეფციებს, აგრეთვე დარგში მიმდინარე პროცესებს და მოვლენებს; იცის ბიზნეს-საქმიანობის ანალიზის და შეფასების რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდები; აქვს ორგანიზაციების ეროვნული და გლობალური ეკონომიკური გარემოს შესახებ ცოდნა; გააჩნია ბიზნესის ფუნქციონალური სფეროების: ოპერაციული მენეჯმენტის, პროექტების მართვის, მარკეტინგისა და გაყიდვების, კადრების მართვის, ფინანსებისა და ბუღალტერიის, ზოგადი მენეჯმენტის, მართვის საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცოდნა და აცნობიერებს მათ ურთიერთკავშირს.

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:** საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად; კერძოდ:

- ბიზნესის ადმინისტრირების სხვადასხვა სფეროებში (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, ტურიზმი) საქმიანობა არსებული სტანდარტული და ახალი მეთოდების გამოყენებით; მას გამომუშავებული აქვს მარკეტინგული, ფინანსური, პროექტების მართვის და სხვა სახის უნარები, კერძოდ შეუძლია მარკეტინგული მონაცემების შეგროვება და გაანალიზება, ბაზრის შესაძლებლობების განსაზღვრა, მარკეტინგული ღონისძიებების განხორციელება; ფინანსური დოკუმენტების ინტერპრეტაცია, ფინანსური ინფორმაციის ანალიზი და ანგარიშების მომზადება, საბუღალტრო აღრიცხვის სისტემების გამოყენება, ბიუჯეტის მომზადება; მიზნის

ფორმულირება; მიზნების, ამოცანებისა და შედეგების ურთიერთკავშირის განსაზღვრა; დროითი ჩარჩოების დაგეგმვა და მართვა; პასუხისმგებლობის ფარგლებში ამოცანების მართვა; შესაბამისი რესურსების განსაზღვრა და მართვა და სხვა.

**დასკვნის უნარი:** ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება. კერძოდ:

საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია - ბიზნესის მართვაში მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების საწყის დონეზე ანალიზის შესრულება, რაოდენობრივი და ხარისხობრივი მეთოდების გამოყენებით; თანამედროვე ბიზნესის მართვის ძირითადი პრობლემების გადაჭრის მიზნით არსებული თეორიული კონცეფციებისა და მონაცემების გამოყენება. ორგანიზაციის ან ფუნქციონალური სფეროს წინაშე მდგარი პრობლემის იდენტიფიცირებისა და დიაგნოსტიკის უნარი. პრობლემის გადასაჭრელად შესაბამისი მეთოდების გამოყენების, მათი დასაბუთებისა და დაცვის უნარი; ოპერაციულ, ტაქტიკურ დონეზე გადაწყვეტილების მიღების უნარი. სტრატეგიული და ტაქტიკური გადაწყვეტილების მიღების მიზნების და კრიტერიუმების ფორმულირების უნარი.

**კომუნიკაციის უნარი** – საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და ერთ-ერთ უცხო ენაზე (ინგლისური, რუსული ან გერმანული B 2.2 დონეზე), იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (ICT), ფლობს მულტიმედია კომპეტენციას, რომელიც ხელს უწყობს მათ შემოქმედებით და კრიტიკულ გამოყენებას დარგისათვის სპეციფიკურ კონტექსტში.

კურსდამთავრებულს განვითარებული აქვს კრეატიული და ინოვაციური საქმიანობის, პროფესიული კომუნიკაციის უნარ-ჩვევები; შეუძლია პროფესიულ დისკუსიებში მონაწილეობა, ანგარიშის დაწერა, საქმიანი დოკუმენტის შედგენა ბიზნეს ტერმინოლოგიის გამოყენებით; კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე; შეუძლია მონაწილეობა დისკუსიაში შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან; შეუძლია საბაკალავრო ნაშრომის მომზადება; შეუძლია კომპლექსური საკითხის/ კითხვის ფორმულირება/ჩამოყალიბება, როგორც წერილობით, ასევე ზეპირად წარდგენა /პრეზენტაცია.

ადასტურებს უცხო ენის (ინგლისური, რუსული ან გერმანული) ფლობის ზოგადევროპული ჩარჩოს თანახმად B2.2 დონეზე ენის ფლობას, იცის კომუნიკაციის წარმართვა ბიზნესის სფეროში ამა თუ იმ საკითხზე; აცნობიერებს უცხო ენაზე მეტყველების თავისებურებების პრინციპებს, ბიზნეს ლინგვისტურ ეტიკეტს, ბიზნეს ტერმინოლოგიას და აკმაყოფილებს 4-ვე სამეტყველო კომპეტენციისადმი (აუდირება, კითხვა, წერა, საუბარი) წაყენებულ მოთხოვნებს:

#### აუდირება

სტუდენტს გააჩნია:

- დიდი მოცულობის გამონათქვამების გაგების/აღქმის უნარი ბიზნეს თემატიკაზე

- საუბრის ზოგადი მიმართულების გაგების უნარი
- საუბრის ცალკეული რეპლიკების გაგების უნარი
- მოხსენების არსის გაგების უნარი

### კითხვა

სტუდენტს:

- ესმის ორიგინალური (ბიზნესის საკითხებთან დაკავშირებული) ტექსტების ძირითადი შინაარსი;
- ესმის სტატიის ზოგადი შინაარსი;
- შეუძლია გაიგოს სხვადასხვა ბანკების რეკლამა;
- განცხადებების გაგება;
- ტექსტში საჭირო ინფორმაციის გამოყოფა;
- რეალური მოვლენების აღწერის გაგება.

### საუბარი

სტუდენტს შეუძლია:

- რეალურ მოვლენებზე ფაქტების მოკლედ გადმოცემა
- სტატიის შინაარსის მოკლედ გადმოცემა
- მოვლენების თანმიმდევრული გადმოცემა
- საკუთარი აზრის გამოხატვა
- სიტუაციის დახასიათება

### წერა

სტუდენტმა იცის:

- საქმიანი წერილების შედგენისა და წერის წესები
- კონტრაქტების შედგენის წესები და პრინციპები
- ფლობს ბიზნეს-სიტუაციების წერილობითი გადმოცემის უნარს და შეუძლია მათი აღწერა უცხო ენაზე
- ფლობს პროფესიულ თემატიკაზე მოხსენების წერის პრინციპებს

**სწავლის უნარი** – საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა; კერძოდ: სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაციის მიღება, დამუშავება და ანალიზი; საკუთარი სწავლის პროცესის მართვა, შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრა. შეუძლია დამოუკიდებლად, ლიტერატურის გამოყენებით, აიმაღლოს ცოდნა; შეუძლია საკუთარი ცოდნის შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრა; დამოუკიდებლად მუშაობს დარგობრივ ლიტერატურასთან, რეგულარულად ანახლებს ცოდნას დარგობრივი ლიტერატურის კითხვით. შეუძლია ბიზნეს პროექტების ცალკეული

კომპონენტების შემუშავება. შეუძლია დამოუკიდებელი მუშაობა მინიმალური ხელმძღვანელობის ან კოლეგიალური დახმარების პირობებში წინასწარ შეთანხმებული რეკომენდაციების/ინსტრუქციების შესაბამისად.

**ღირებულებები** – ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა. კერძოდ,

პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან თავისი და სხვათა დამოკიდებულების შეფასება და სხვებისათვის გაზიარება. გააჩნია: პატივისცემის გრძნობა მორალური, ეთიკური, კულტურული და სამართლებრივი ნორმებისადმი; სამართლიანი საქმიანი ურთიერთობების წარმართვის და დაცვის უნარი; პიროვნული პასუხისმგებლობის აღების უნარი საერთო საქმეზე; პატივისცემის გრძნობა კოლეგებისა და პარტნიორების მოსაზრებებისადმი; დადებითი დამოკიდებულება უსაფრთხო და მდგრადი განვითარების მქონე გარემოს შესაქმნელად არსებულ ნორმებისადმი და ინიციატივებს იჩენს მათი დაცვის მიმართულებით; აცნობიერებს სამართლებრივ, ეთიკურ და კულტურათაშორისი შემწყნარებლობის პასუხისმგებლობას ორგანიზაციასა და საზოგადოებაში; აცნობიერებს ბიზნესის როლს მდგრადი განვითარების ძირითად პრინციპებთან მიმართებაში. პასუხს აგებს საკუთარ სამუშაოზე და შეუძლია მისი შეფასება/კრიტიკა; შეუძლია ინიციატივის გამოჩენა. იმ ეთიკური პრობლემების ამოცნობის, გააანალიზების, შესაბამისი გადაწყვეტილებების შერჩევისა და დაცვის უნარი, რომელსაც ადგილი აქვს საფინანსო სფეროში, საბუღალტრო აღრიცხვაში, ადამიანური რესურსების მენეჯმენტსა და მარკეტინგში. აქვს გაცნობიერებული პროფესიული პასუხისმგებლობა და ეთიკური ნორმები. აცნობიერებს სამართლებრივ, ეთიკურ და კულტურათაშორისი შემწყნარებლობის პასუხისმგებლობას ორგანიზაციასა და საზოგადოებაში; აცნობიერებს ბიზნესის როლს მდგრადი განვითარების ძირითად პრინციპებთან მიმართებაში.

**მოდულების სწავლის შედეგები:**

**1. მოდული – მენეჯმენტი**

• **ცოდნა და გაცნობიერება** – სწავლის შედეგად ბაკალავრმა იცის ბიზნესის მართვის თეორია და გამოიძუშავა მათი პრაქტიკაში განხორციელების შესაძლებლობა; მას ჩამოუყალიბდა ბიზნეს – სტრუქტურების საშუალო დონის მართვის შესაძლებლობა. მმართველობითი ურთიერთობების კანონზომიერებათა და ბიზნესის მართვის ხელოვნების კომპლექსური შესწავლის საფუძველზე, ბაკალავრმა მიიღო საფუძვლიანი ცოდნა ბიზნესის ორგანიზაციულ-ეკონომიკური, სამართლებრივი და ეთიკური საკითხების, სამეწარმეო საქმიანობის ოპერატიული და სტრატეგიული მართვის სფეროში; დაეუფლა ბიზნეს-ოპერაციების შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებასა და ბაზრის შესწავლის მეთოდებს. მას შეუძლია სამეურნეო საქმიანობის პროცესში ამოცანის სწორად დასმა და ეფექტიანი მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება.

• **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** – მენეჯმენტის საფუძვლების შესწავლით მიღებული ცოდნით და გამოიშუშავებული უნარით სტუდენტს შეუძლია ბიზნესის სფეროში მმართველობითი საქმიანობის განხორციელება, დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება. ბაკალავრმა გამოიძუშავა:



- სტრატეგიული ხედვის უნარ-ჩვევები, რომლებიც საშუალებას იძლევა ფირმის განვითარების გლობალური სტრატეგიის შემუშავებაში, აგრეთვე ცალკეული ქვედანაყოფების საქმიანობის დამოუკიდებლად დაგეგმვაში;
- კონსტრუქციული საქმიანი ურთიერთობის აგების უნარი;
- პოტენციალი კარიერული ზრდისათვის როგორც კომპანიის შიგნით, ისე მთლიანად ბაზარზე.

- **დასკვნის უნარი:** დარგში მიღებული ცოდნით და გამომუშავებული უნარით ბაკალავრს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საწარმოს მართვასთან დაკავშირებული ცალკეული დასკვნების მომზადებასა და არგუმენტირებაში;

- **კომუნიკაციის უნარი:** ბიზნესის ორგანიზაცია და მართვის პროგრამის ფარგლებში, მენეჯმენტის მოდულში მიღებული ცოდნისა და გამომუშავებული უნარების საფუძველზე ბაკალავრს აქვს შესაძლებლობა დაამყაროს კომუნიკაცია თავის კოლეგებთან, კლიენტებთან, ბიზნეს პარტნიორებთან და მონაწილეობა მიიღოს ბიზნეს გადაწყვეტილებებში.

- **სწავლის უნარი:** ბაკალავრს, მენეჯმენტის მოდულის ფარგლებში ნასწავლი დისციპლინების საფუძველზე შეუძლია მოიპოვოს და დაამუშავოს ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება ფირმის მართვის, მისი კონკურენტული შესაძლებლობებისა და კონკურენტების შესახებ საკითხებს.

- **ღირებულებები:** ბიზნესის ორგანიზაცია და მართვის პროგრამის ფარგლებში, მენეჯმენტის მოდულის ძირითადი ღირებულება გამოიხატება, მმართველობითი ღონისძიებების შემუშავებისათვის, სწორი და დროული ინფორმაციის მიწოდებაში გადაწყვეტილებების მიღებისას.

## 2. მოდული – ფინანსები

- **ცოდნა და გაცნობიერება** – მოდულში გათვალისწინებული დისციპლინების შესწავლამ უზრუნველყო საფინანსო სისტემის მეთოდების, მისი ელემენტების, მთლიანად საწარმოს პროცესთან დაკავშირებული ფინანსური საკითხების ფართო და გაღრმავებული ცოდნის მიღება. ასევე, ფინანსების ძირითადი პრინციპების გაცნობიერება კონკრეტულ სიტუაციებთან მიმართებაში, სათანადო ტერმინოლოგიას ფინანსური მენეჯმენტის მიმართულებით და ამ სფეროში მუშაობისათვის აუცილებელ რაოდენობრივ და სტატისტიკურ მეთოდებს.

- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** – მიღებული ცოდნით და გამომუშავებული უნარით ბაკალავრი ახორციელებს ფირმის ფინანსური მდგომარეობის ანალიზს; განსაზღვრავს საბრუნავი კაპიტალის ელემენტების ოპტიმალურ დონეს; ახორციელებს ინვესტიციების კაპიტალურ ბიუჯეტირებას და შეფასებას; განსაზღვრავს ფირმის კაპიტალის რაციონალურ სტრუქტურას; ადგენს ფირმის ოპტიმალურ დივიდენდურ პოლიტიკას.

- **დასკვნის უნარი:** ბიზნესის ორგანიზაცია და მართვის პროგრამის ფარგლებში, ფინანსების მოდულში მიღებული ცოდნისა და გამომუშავებული უნარების საფუძველზე ბაკალავრი შეძლებს შეაფასოს კორპორაციის (საწარმოს) ფინანსური მდგომარეობისა და ფინანსური შედეგის მაჩვენებლები, გააკეთოს დასკვნები ბიზნესის განვითარების შესახებ.

- **კომუნიკაციის უნარი** – ბიზნესის ორგანიზაცია და მართვის პროგრამის ფარგლებში, ფინანსების მოდულში მიღებული ცოდნისა და გამომუშავებული უნარების საფუძველზე ბაკალავრს აქვს შესაძლებლობა დაამყაროს კომუნიკაცია ბიზნეს წრეებთან და მონაწილეობა მიიღოს ფინანსური მენეჯმენტის სფეროში დამატებითი რესურსების მოძიების მიზნით ეფექტური გადაწყვეტილებების ფორმირების პროცესებში.
- **სწავლის უნარი** – ბაკალავრს, ფინანსების მოდულში შესწავლილი დისციპლინების ფარგლებში შეუძლია მიიღოს და დაამუშაოს ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება კორპორაციის (საწარმოს) ფინანსური ურთიერთობების ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების მართვას.
- **ღირებულებები** – ბიზნესის ორგანიზაცია და მართვის პროგრამის ფარგლებში, ფინანსების მოდულის ძირითადი ღირებულება გამოიხატება ეკონომიკური სუბიექტის ფინანსების მართვაში, ფულადი ნაკადების მოძრაობის, საინვესტიციო პროექტის ეფექტიანობის შეფასებისა და ფინანსური მენეჯმენტის მექანიზმის გაცნობიერებაში.

### 3. მოდული – ტურიზმი

- **ცოდნა და გაცნობიერება** – მიღებული ცოდნის საფუძველზე შეუძლია ტურიზმის სფეროში არსებული თეორიული ცოდნისა და მეთოდების გამოყენება; ტურიზმის სფეროში ძირითადი პროცესების ეკონომიკური ანალიზის განხორციელება. ბაკალავრი ფლობს ტურისტული პროდუქტების ანალიზისა და ძირითადი ეკონომიკური კანონების მოქმედებისა და გამოყენების მექანიზმებს.
- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** – ტურიზმის მოდულის შესწავლის შედეგად ბაკალავრი ფლობს ზოგადად:
  - მომსახურების სფეროში აპრობირებულ მეთოდებს;
  - ფლობს ტურიზმის ეკონომიკაში ინფორმაციის წყაროების მოპოვებისა და დამუშავების ტექნოლოგიებს;
  - ტურიზმის სფეროს მართვასა და კონკრეტული პროდუქტების შეთავაზების უნარს.
- **დასკვნის უნარი** – აპრობირებული სამეცნიერო-პრაქტიკული მეთოდებით ტურისტული მომსახურების პროდუქტების შესწავლა-შეთავაზება; – ტურიზმის კონკრეტულ სეგმენტზე დასახული ამოცანების გადაწყვეტის ალტერნატიული გზების შემოთავაზების უნარი; – ტურიზმის მენეჯმენტის პროექტების შემუშავებისას კრიტიკული ანალიზისა და ინფორმაციის სინთეზის უნარების ჩამოყალიბება.
- **კომუნიკაციის უნარი** – ბიზნესის ორგანიზაცია და მართვის პროგრამის ფარგლებში, ტურიზმის მოდულში მიღებული ცოდნისა და გამომუშავებული უნარების საფუძველზე ბაკალავრს აქვს შესაძლებლობა დაამყაროს კომუნიკაცია ბიზნეს წრეებთან და მონაწილეობა მიიღოს ტურისტული მომსახურების სფეროში ეფექტური გადაწყვეტილებების ფორმირების პროცესებში. საინფორმაციო-კომუნიკაციის საშუალებებით, როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოელ კოლეგებთან კომუნიკაციის დამყარება ტურიზმში ახლი საინფორმაციო მიღწევების გაცვლის მიზნით.

- **სწავლის უნარი** – ბაკალავრი სასწავლო პროგრამის ათვისების შესაბამისად დამოუკიდებლად გააცნობიერებს დისციპლინებით გათვალისწინებული სამეცნიერო-პრაქტიკულ ინფორმაციას; გარემოს ტექნოგენური რესურსების ეფექტურ რეალიზაციას; ტურისტულ-რეკრეაციული სისტემების რეგულირება-მართვის პრინციპებს. ბაკალავრს, ტურიზმის მოდულში შესწავლილი დისციპლინების ფარგლებში შეუძლია მიიღოს და დაამუშაოს ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება ტურისტული კომპანიების ურთიერთობების ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების მართვას.

- **ღირებულებები** – ბიზნესის ორგანიზაცია და მართვის პროგრამის ფარგლებში, ტურიზმის მოდულის ძირითადი ღირებულება გამოიხატება ტურიზმის პროდუქტების შეფასებისას არსებული გამოცდილებების გაზიარებასა და ტურიზმის ფასეულობათა სისტემაში აპრობაცია გავლილი ღირებულებების დანერგვაში.

#### 4. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

*ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის ფარგლებში გამოიყენება როგორც უნივერსალური და აპრობირებული სწავლების მეთოდები, ისე სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები, რომლებიც გამოიყენება ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით და მათი დახმარებით სტუდენტს უზრუნველდება ბიზნესის სფეროსათვის დამახასიათებელი უნარ-ჩვევები, კერძოდ:*

**ლექცია** შემოქმედებითი პროცესია, რომელშიც ერთდროულად მონაწილეობენ ლექტორი და სტუდენტი. ლექციის ძირითადი მიზანია შესასწავლი საგნის დებულებათა იდეის გაგება, რაც გულისხმობს გადმოცემული მასალის შემოქმედებით და აქტიურ აღქმას. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს გადასაცემი მასალის ძირითად დებულებებს, განმარტებებს, აღნიშვნებს, დაშვებებს. საჭიროა მთავარი საკითხების, ფაქტებისა და იდეების კრიტიკული ანალიზი. ლექცია უნდა უზრუნველყოფდეს შესასწავლი საგნის ძირითადი დებულებების მეცნიერულ და ლოგიკურად თანმიმდევრულ შეცნობას ზედმეტი დეტალებით გადატვირთვის გარეშე.

**სამუშაო ჯგუფში მუშაობის** დანიშნულებაა სტუდენტებს მიეცეს ლექციაზე მოსმენილი თემების გაღრმავების საშუალება. წამყვანი პროფესორის მითითებით სტუდენტი ან სტუდენტთა ჯგუფი მოიძიებს და ამუშავებს დამატებით ინფორმაციას, ამზადებს პრეზენტაციას, წერს ესეს და სხვ. მოსმინება მოხსენებები, იმართება დისკუსია, კეთდება დასკვნები. სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი პედაგოგი კოორდინაციას უწევს ამ პროცესების მიზანმიმართულად წარმართვას.

**პრაქტიკული მეცადინეობის** დანიშნულებაა კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის საშუალებით თეორიული მასალის თანდათანობითი შესწავლა, რაც თეორიული მასალის დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევების გამომუშავების საფუძველია. პრაქტიკული მეცადინეობის ხელმძღვანელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ამოცანათა და სავარჯიშოთა გადაწყვეტის მეთოდოლოგიაზე, მათ შესრულებაზე და სხვ.

**სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა** – არის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კურსების წარმატებით ათვისებისათვის დახარჯული სამუშაო დროის (შრომის) რაოდენობა ძირითადი ლიტერატურის გაცნობა-შესწავლიდან – ჯგუფურ მუშაობამდე და/ან შუალედური

და დასკვნითი გამოცდების მომზადებისათვის. დამოუკიდებელი მუშაობის მეშვეობით სტუდენტს უნდა აღედრას წიგნისადმი და სხვა საინფორმაციო წყაროებისადმი ინტერესი და საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილი, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა.

- **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება (action learning)**, როდესაც სტუდენტი ასრულებს პრაქტიკულ დავალებას, შემდეგ აკეთებს მისი შესრულების თეორიულ დასაბუთებას განსხვავებით ტრადიციული პედაგოგიური მეთოდისა.

- **ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით აქტიურ მეთოდებს შორის გამოიყოფა:**

- **პრაქტიკული სავარჯიშოები (experiential exercises)**, რომლის შესრულების პროცესში სტუდენტი ახდენს თავისი მოქმედების მოდელირებას ბიზნესის მართვის სხვადასხვა ასპექტებში.

- **კონკრეტული ბიზნეს-სიტუაციების ანალიზი (case method)** როგორც ინდივიდუალურად, ისე მცირე ჯგუფებში (6-8 ადამიანი), მათი გარჩევის დროს სტუდენტი სწავლობს არა მარტო პრობლემის ფორმულირებასა და გადაწყვეტილების მიღებას, არამედ გამოიმუშავებს მნიშვნელოვან უნარებს პირობებათაშორისი კომუნიკაციის, ჯგუფური მუშაობისა და ლიდერობის კუთხით.

- **მცირე ჯგუფებში მუშაობა (team work)**, როდესაც სტუდენტი ასრულებს პრაქტიკულ დავალებას, არჩევს კონკრეტულ ბიზნეს-სიტუაციებს, ამზადებენ ჯგუფურ პროექტებს და მონაწილეობენ საქმიან თამაშებში; ასეთი სახის სამუშაო უზურუნველყოფს როლური ქცევის ათვისებას, ასწავლის ეფექტურ კომუნიკაციას, გამოცდილების გაზიარებას, ანვითარებს ლიდერის თვისებებს.

- **საქმიანი თამაშები (business game)** ატარებენ კომპლექსურ ხასიათს და ტარდება უცხოური პრაქტიკის გაზიარებით, რაც ხელს უწყობს შესასწავლი სპეციალური საგნების სიღრმისეულ აღქმასა და ეფექტურ განმტკიცებას/ათვისებას.

- **აუდიო, ვიდეო და კომპიუტერული კომუნიკაციის მეთოდები.**

სწავლის შედეგების გათვალისწინებით ხორციელდება სწავლებისა თუ სწავლის ადეკვატური მეთოდის შერჩევა. კლასიკური ლექციის ფორმატში ხდება მაღალი ინტერაქტიულობის მქონე მეთოდების ინტეგრაცია. ცალკეული კომპეტენციის გამომუშავებისას გამოიყენება სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პროექტის შემუშავება, პრეზენტაცია, საშინაო დავალება და დამოუკიდებელი მუშაობის სხვა ანალოგიური ფორმები, ასევე პრაქტიკული კომპონენტის ინტეგრირება. **სწავლებისას** გამოიყენება ისეთი აქტიური მეთოდები, როგორცაა:

**ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი;**

**წიგნზე მუშაობის მეთოდი;**

**წერითი მუშაობის მეთოდი**, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება,

**პრაქტიკული მეთოდები** – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს, აქ სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას, საწარმოო პრაქტიკა;

**დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

**დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია, ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ.

**ჯგუფური მუშაობა** – ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

**ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში. აღნიშნული მეთოდების გამოყენებით ხდება სწავლების ინტენსიფიკაცია (აქტივიზაცია), რაც სტუდენტში ახდენს შემეცნებითი საქმიანობის განვითარებასა და სტიმულირებას, აჩვენებს მას იაზროვნოს პროფესიულად. აღნიშნული მეთოდების გამოყენება მიზნად ისახავს დაინტერესოს სტუდენტი, შემოქმედებითად აქტიური და დამოუკიდებელი გახადოს იგი ცოდნის მარაგის პროცესში და სხვ.

**პრეზენტაცია** – არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მოქმედებებისა და მიღებული შედეგების აუცილებელი პრეზენტაციის პირობებში. ამ მეთოდით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პრეზენტაციაზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პრეზენტაცია განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ან რამდენიმე საგნის (საგანთა ინტეგრაციის) ფარგლებში. დასრულების შემდეგ პრეზენტაცია წარედგინება ფართო აუდიტორიას.

**ინდუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

**დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

**ანალიზის მეთოდი** გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

სინთეზის მეთოდი გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

### 5. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

ბიზნესის ორგანიზაციის და მართვის საბაკალავრო პროგრამა შეფასების სისტემის კუთხით ეყრდნობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანებას N3 (უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ) და თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედ შეფასების სისტემას, რომელიც დამტკიცებულია თჰუ რექტორის 2012 წლის 16 ივნისის N69/07 ბრძანებით. აღნიშნული შიდასაუნივერსიტეტო რეგულაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია და ამ პროგრამის განუყოფელი ნაწილია.

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტში არსებული შეფასების სისტემა შემდეგ კომპონენტებზე იყოფა:

#### 1. აქტიურობა – მაქსიმუმ 30 ქულა

(სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მეცადინეობა, საკონტროლო სამუშაო, გუნდური ან პერსონალური პრეზენტაცია, წერიტი და ზეპირი საშინაო დავალებები, ესეს შესრულება, რეფერატი ან სხვა სახის სამუშაო პედაგოგის შერჩევით)

#### 2. ორ შუალედური შეფასება – მაქსიმუმ 30 ქულა

ორი შუალედური გამოცდა (წერიტი) -15+15=30 ქულა

#### 3. დასკვნითი გამოცდა – მაქსიმუმ 40 ქულა

დასკვნითი გამოცდა ტარდება კომბინირებული სახით: ა) ზეპირი კომპონენტი (მაქსიმუმ 20 ქულა); ბ) წერიტი კომპონენტი (მაქსიმუმ 20 ქულა).

დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად ქულათა საერთო რაოდენობის 51 % დაგროვების შემთხვევაში (სავალდებულოა მინიმუმ 21 ქულის დაგროვება 40 ქულიდან).

#### 4. საბოლოო შეფასება – მაქსიმუმ 100 ქულა.

#### კანონმდებლობით დადგენილი შეფასების საერთო მოთხოვნები:

- დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებებს;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

- საბოლოო შეფასების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

- დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა (11+40).

- სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში (ტრიმესტრში) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50% მიღების შემთხვევაში.

- დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 10 კალენდარული დღისა.

#### შეფასების სისტემა უშვებს:

##### ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

##### ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა

სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

➤ შეფასების კრიტერიუმები და მეთოდები დეტალურად ჩაშლილია სილაბუსებში და გათვალისწინებულია საგნის სპეციფიკა

➤ საბაკალავრო ნაშრომის და პრაქტიკის შესრულებისა და შეფასების კომპონენტები ასახულია „თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის შეფასების სისტემის მოდიფიცირების თაობაზე“ თჰუ რექტორის 2012 წლის 16 ივნისის N69/07 ბრძანებაში (იხ.დანართები).

#### 6. დასაქმების სფერო და სწავლის გაგრძელების საშუალება

- ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხის მქონეებმა შეიძლება დაიკავონ პოზიციები მართვის საწყის დონეზე, მათ შორის კომპანიის ადმინისტრაციაში, ოპერაციულ მენეჯმენტში, ლოჯისტიკაში, მარკეტინგსა და გაყიდვებში, კადრების მართვაში, ფინანსებში, ბუღალტერიაში, მართვის საინფორმაციო სისტემებში და ბიზნესის სხვა ფუნქციონალურ სფეროებში. პოზიციის არასრული ჩამონათვალი შემდეგია: შესყიდვების მენეჯერი, გაყიდვების მენეჯერი, რეკლამების მენეჯერი, ოპერაციების მენეჯერი, პროექტების მენეჯერი, საკრედიტო მენეჯერი, კადრების მენეჯერი, ლოჯისტიკის მენეჯერი, აუდიტორი, ფინანსური მენეჯერი, კომერციული დირექტორი და სხვა.

- ბიზნესის ადმინისტრირების კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლის გაგრძელება მაგისტრატურაში MBA-ის ან/და სხვა სპეციალობებზე.

#### 7. საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის, ეკონომიკისა და მართვის ფაკულტეტის ბიზნესის ორგანიზაციის და მართვის საბაკალავრო პროგრამით ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო 240 ECTS კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:

- **30 (ECTS) კრედიტი** – საუნივერსიტეტო საერთო სავალდებულო სასწავლო კურსები;
- **130 (ECTS) კრედიტი ეთმობა** სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებს (მათ შორის 10 კრედიტი გათვალისწინებულია პრაქტიკისა და 10 კრედიტი საბაკალავრო ნაშრომისათვის);
- **40 (ECTS) კრედიტის** ფარგლებში ხდება სტუდენტის მიერ სპეციალობის სავალდებულო/არჩევითი მოდულის არჩევა, თითოეული მოიცავს 30 კრედიტს, და დამატებით 10 კრედიტს სტუდენტი ირჩევს დანარჩენი ორი მოდულიდან. სტუდენტი შემოთავაზებული სამი მოდულიდან ირჩევს. ესენია: **მენეჯმენტი, ფინანსები, ტურიზმი**;
- **40 (ECTS) კრედიტი** – თავისუფალი სასწავლო კურსები (სტუდენტი ირჩევს სასწავლო კურსებს უნივერსიტეტის ნებისმიერი საბაკალავრო კურიკულუმიდან).

#### **8. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შესახებ**

თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (კომპიუტერული კლასი, სააუდიტორიო ფონდი ვიდეო-ლექციების უზრუნველყოფით და სხვა რესურსები), რომელიც უზრუნველყოფს ყველა სახის პრაქტიკულ, თეორიულ და ინტერდისციპლინარულ მომზადებას. ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია აუცილებელი სასწავლო-მეთოდური მასალებით: შესაბამისი საბიბლიოთეკო ფონდებით (წიგნადი, ციფრული/ელექტრონული): თანამედროვე სახელმძღვანელოებით, ინტერნეტ-რესურსებითა და სხვა საინფორმაციო მასალებით. ყველა სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია საბიბლიოთეკო ფონდები, მონაცემთა ბაზები (OPEN BIBLIO, საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელში წვდომა უზრუნველყოფილია (EBSCOHost (<http://search.epnet.com> (ელექტრონული ჟურნალები და წიგნები). ასევე უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულია საერთაშორისო საბიბლიოთეკო ლინკები, საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბმულები: <http://fs.gallup.unm.edu>, <http://www.questia.com/library>, <http://www.gutenberg.org/catalog/>

#### **9. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა**

პროგრამის განხორციელების ფინანსური უზრუნველყოფა ხდება თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ მიღებული შემოსავლების, დამფუძნებელთა მიერ განხორციელებული ინვესტიციებისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული და ნებადართული სხვა სახსრების გამოყენებით. პროგრამის სარეალიზაციოთ მოზიდული ზემოაღნიშნული ფინანსები გამოიყენება აკადემიური პერსონალის სახელფასო უზრუნველყოფის, სტუდენტთა წახალისებისა და მოტივაციის, საბიბლიოთეკო ფონდის განახლებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დასაკმაყოფილებლად.

- *პროგრამის სტრუქტურა, პროგრამის ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფა, სასწავლო გეგმა, სწავლის შედეგების რუკა, პროგრამის ხელმძღვანელის რეზიუმე (CV) თან ერთვის პროგრამას. (იხ.დანართები)*